ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**პ/22351085**
თარიღი: **02/07/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 04

დ. ლენტეხი 2.07.2024 წ.

2024 წლის 2 ივლისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, კომისიის წევრები: გიორგი გაზდელიანი, დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, ზურაბ ონიანი, მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი და კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სოფ. ჭველფში მცხოვრებ მაიზერ ზურაბიანის განცხადების განხილვა.

/ მომხს: ს. ავალიანი/

2. სოფ. ტვიბში მცხოვრებ თენგიზ ჯამბურიძის განცხადების განხილვა.

/ მომხს: ს. ავალიანი/

3. სხვადასხვა.

1.მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ კომისიას დაგვეწერა სოფ. ჭველფში მცხოვრები მაიზერ ზურაბიანის განცხადება. განცხადების თანახმად მის საცხოვრებელ სახლთან ახლოს ეზოში მოწყობილია მაღალი ძაბვის ელექტრო სისტემა. სადენები ეხება ეზოში არსებულ კაკლის ხეებს, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი წვიმებისა და ჭექა ქუხილის დროს საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრები ადამიანების სიცოცხლეს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მდგომარეობა მეტად საგანგაშოა და საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას ენერგო კომპანიის მხრიდან , რათა თავიდან იქნას აცილებული ლეტალური შედეგები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს: ეთხოვოს სახელმწიფო რწმუნებულს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის ,ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ბატონ პარმენ მარგველიძეს - შუამდგომლობის გაწევა შესაბამის უწყებებთან, რათა დროულად გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

2.მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა,რომ კომისიას განსახილველად დაგვეწერა სოფ. ტვიბში მცხოვრებ თენგიზ ჯამბურიძის განცხადება. განცხადების თანახმად მოქალაქე ითხოვს სოფ. ტვიბში ჯამბურიძეების უბანში შესასვლელ გზაზე უსაფრთხოების მიზნით ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა განცხადებაში აღნიშნული საკითხი და ადასტურებს იმ რეალობას, რომ რომ სოფ. ტვიბში ჯამბურიძეების უბანში შესასვლელ გზაზე, სადაც არის მცოცავი ნიადაგი, ყოველი წვიმის შემდეგ არის საფრთხე ჩამოიშალოს მიწის მასის გარკვეული რაოდენობა, რაც საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას, ამ გზას ნამდვილად ესჭიროება ნაპირსამაგრი ჯებირის გაკეთება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ამ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს: შუამდგომლობა გაეწიოს თენგიზ ჯამბურიძის ოჯახს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერთან, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

სოსო ავალიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე